იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კანონის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 28. მონაწილეთა ინფორმაციით უზრუნველყოფა

1. დამფუძნებელი ვალდებულია საპენსიო სქემის ყველა მონაწილეს წელიწადში ერთხელ მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია მისი ინდივიდუალური ანგარიშის, საგადასახადო სისტემაში, აქტივების მმართველ კომპანიებსა და სპეციალურ დეპოზიტარებში მომხდარი ცვლილებებისა და დამფუძნებლის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ.

2. საპენსიო სქემის წესი და საანგარიშო საბუთები არ ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს, გარდა მონაწილეთა ანგარიშების შესახებ ინფორმაციისა.

3. დამფუძნებელი მონაწილისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის ან დაგვიანებით მიწოდებისათვის პასუხს აგებს მონაწილის წინაშე ინფორმაციის მიწოდების ვადის ყოველ დაგვიანებულ დღეზე მონაწილის საპენსიო დანაგროვის თანხის 0.01 პროცენტის ოდენობით, თავისი ქონების ხარჯზე, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ანგარიშის წა - რუდგენლობისათვის ან დაგვიანებით წარდგენისათვის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად .